

სტაფილოს შავი ლაქიანობა ანუ ალტერნარიოზი - *Alternaria radicina*

სიმპტომები: ავადდება ყველა ორგანო ყველა ფაზაში. ვითარდება შავი ლაქები შავი ხავერდოვანი ფიფქით. აღმონაცენი ილუპება, ფოთოლო ხმება, ყვავილიდან დაავადება თესლზე გადადის და აღმოცენების უნარს უკარგავს, ძირხვენა ლპება.
გამომწვევი: გამომწვევია უსრული სოკო, ყავისფერ კონიდიამტარებზე ბოთლის ფორმის მრავალუჯრედიანი კონიდიუმებია.

სტაფილოზე აღსანიშნავია აგრეთვე სტაფილოს ფომოზი ანუ მშრალი სიდამპლე - *Phoma rostrupii*, PPთეთრი სიდამპლე - *Sclerotinia sclerotiorum*, ნაცრისფერი სიდამპლე B- *Botrytis cinerea* და სხვ.